№ 72

შაბათი, 3 აპრილი, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

№ 72

შაბათი, 3 აპრილი, 1899 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარია

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

კვირას, 4 აპრილს, ავლაბრის წმ. მარინეს ეკკლესიაში გარდახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

**ნატალია იოსების ასულის ფორაქოვის**

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყობა დილის 10 საათზე. (1—96—1)

**თავადი ივანე გიორგის ძე და კნეინა სუზანა მავრიკის ასული ჯორჯაძენი,** აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას თვისის ასულის

**ელისაბედისას,**

სთხოვენ მობრძანდნენ 4 აპრილს, კვირას, დილის 10 საათზედ მოსკოვსკის ქუჩაზედ, ნომერი სახლისა 11, მიცვალებულის გვამის განსვენებაზედ დასასწრებლად ქვაშვეთის ეკკლესიაში. (2—1).

კვირას, 4 აპრილს, მეორმოცე დღეს გარდაცვალებისას, კალოუბნის ეკკლესიაში გარდახდილი იქმნება პანაშვიდი

**რაჟდენ სოლომონის ძის ჯაჯანაშვილის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის ქვრივი, დედა და ძმები. (2—უ.—1)

კვირას, 4 აპრილს, ტფილისის „სობრანიის" დარბაზში გამართული იქნება ბ-ნ ი. გ. მონადირიშვილის ქალთა და ვაჟთა გუნდის მიერ

**ქართული სასულიერო კონცერტი**

მცხეთის ტაძრის განახლების ფონდის სასარგებლოდ.

გუნდი იგალობებს სხვა-და-სხვა ქართლ-კახურს საეკკლესიო საგალობლებს, დაწერილს ბ-ნ ა. ს. ბენაშვილისაგან.

გუნდში 60 ქალი და ვაჟია.

ბილეთების ფასი 4 მანეთიდგან 1 მანეთამდეა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" კანცელარიაში და სობრანიის მეკარესთა.

(5—უ.—4) დასაწყისი სწორედ საღამოს $8^1/_2$ საათზედ.

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა (კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ხ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. აალოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

გ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. ბურკო. $1^1/_4$—$2^1/_4$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. მპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენელიური და კანის სნეულებ.

ხ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეოროლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ)

## მთავრობის განკარგულებანი.

გადაყვანილ იქმნა: არტილერიის მე 20 ბრიგადის შტაბს-კაპიტანი ჩიჩიკაშვილი—კავკასიის სარეზერვო ბრიგადაში.

დანიშნულ იქმნენ: ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს საქმის მწარმოებლის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი აბხაძე და საქმის მწარმოებლ თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი კანდელაკი, პირველი—საქმის მწარმოებლად, ხოლო მეორე იმის თანაშემწედ.

დათხოვნილ იქმნა: თანამდებობიდგან თავისისავე თხოვნით ავადმყოფობისა გამო სიღნაღის მაზრის ბაკურციხის ნაწილის ბოქაული თავადი ივანე ჯორჯაძე.

## შემოწირულება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ განზრახულ ბაზრობას შემოსწირა კნ. ნატალია ვახტანგის ასულმა ამირეჯიბმა პატარა შირმა.

## ახალი ამბავი

*** გუშინ, 2 აპრილს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტის წევრის თ. ნ. დ. ანდრონიკაშვილის თავმჯდომარეობით, მოხდა არჩევანები მე-3 რიგის მსესხებელთა მეოთხე ჯგუფის რწმუნებულებისა. არჩეულ იქმნენ: ე. მ. ხრამელაშვილი ნ. ი. ჩემოდანოვი, ნ. ზ. უმიკაშვილი, ნ. ზ. ნარიმანოვი, მ. ვ. ბარნოვი, ი. ე. ფურცელაძე, ა. ს. ჩივაძე და კანდიდატად ნ. გ. პაპიტაშვილი.

*** როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, მთავარ-მართებლის საბჭოს დადგენილებით პასუხის-გებაში იქმნენ მიცემული ქალაქ ტფილისის მოურავი გ. გ. ევანგულოვი, გამგეობის წევრები ხოსროევი და თავ. არღუთინსკი და წევრებად ნამყოფნი ივანენკო და ვერმიშევი. ეს დადგენილება გარდაეცა ტფილისის სამოსამართლო პალატის ბრალმდებელს, რომელმაც უკვე დანიშნა გამომძიებელი ამ საქმის გამოსაძიებლად. დანიშნულია განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი ბ-ნი აბელი.

*** ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. კ. ი. მუხრან-ბატონი გუშინ-წინ, 1 აპრილს, ჩამოვიდა პეტერბურგიდგან ტფილისში.

# ფელეტონი

## სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი

„ეგრე მტრისა არ მეშინის,
რადგან ცხადად მაწყინარობს;
მოყვარესა—მტერსა ვუფრთხი,
მემოყვრება, მოცინარობს"...
რუსთაველი

(შემდეგი *)

### VIII

სომეხთა მწიგნობარ-მეცნიერნი რომ ასე იქცევიან და ოინბაზობენ,—ადვილად გამოსაცნობია რადა და რისთვის. ხოლო გვიკვირს, რომ ამ რიგადვე ეპყრობიან ისტორიულს საბუთებს რუსის ზოგიერთი მწერლებიცა. იმის დასამტკიცებლად, რომ სომეხნი სულითაც და ხორცითაც მედგარნი, გულ-გაუტეხელნი, ხელ-შეუწყობნი არიან და მერმისი მათი საკუთნოა, ისტორიული საბუთები მოჰყავთ და ამით არწმუნებენ ქვეყანას, რომ ეს ასე ყოფილა, არის და იქნება კიდეცაო. სომხებმა ყოველივე ეს სიკეთე თვისი ისტორიით დაამტკიცეს და ძალიან ვცდებით, რომ ამ ნიჭიერ, გამრჯელ, სულითა და ხორცით ღონიერს ერს ხელს არ ვაშველებთ, გზას არ ვუხსნით და ვაბრკოლებთო.

რა თქმა უნდა, ერს რომ გზა შეუკრან წარმატებისა,—რაც გინდ პატარა ერი იყოს—არავისათვის არც მოსაწონია, არც გამოსაყენებელი. არ არის ქვეყანაზე იმისთანა ერი, რომელიც თუ ცოტაოდნად მაინც გონებად-მოსულია, ცოტაოდენი ისტორია ჰქონია და კულტურაში ცოტაოდნად ფეხი მოუკიდებია, რითიმე გამოსადეგი არ იყოს სახელმწიფოში, რაც გინდ დიდი სახელმწიფო იყოს და მორჭმული თვისის სულიერ და ხორციელ ძალ-ღონითა. „რაც უკვე დარგულია და ჰხარობს, ფეხით ნულარა დასთრგუნავ, ეცადე გაიზარდოსო", ნათქვამია. ნიჭი, სიკეთე ცალკე ადამიანისა, თუ მთელის ერისა ისეთი რამ არის, რომ, რაც გინდ ნამეტანი იყოს ვისთვისმე, მეტი ბარგი არ არის, თუ საკუთარს სხვისაც ზედ-წაემატება. ამიტომაც დიდი ცოდვაა ადამიანს, თუნდ ცალკე პატარა ერს ნიჭი შეუკრა, შეუბოჭო, სიკეთის ღონე შეუხუთო. არა ნაკლები ცოდვაა ერთის ღვაწლი, თუ-კია სადმე, მეორეს მიაკერო და მართლად ღვაწლ-დამდები ჩრდილში მიაყენო და სხვისით სხვა გამოამზეო საქებ-სადიდებლად. თუ თავმოსაწონებელია სადმე, ყველამ თავისით უნდა მოიწონოს თავი, ყველას თავისი უნდა ეკუთვნოს.

ჩვენდა სამწუხაროდ, ასე არ იქცევა ბ-ნი ვლად. გოლმსტრემი, რომელმაც ამ ახლო-ხანში დაჰბეჭდა „Петербургскія Вѣдомости"-ებში თავისი წერილი ამ სათაურით: „И Камни вопіютъ!" [1]) მართალია, ეს გაზეთი ერთი იმისთანა გაზეთია რუსეთში, რომელიც ესარჩლება ყოველ დაჩაგრულ ერსა და ამისთანა მართლა პატიოსნურს მიმართულებას გაზეთისას არ შეიძლება სრულის სიამოვნებით არ მიეგებოს ყოველი ჰკვათა-მყოფელი და გულთა-მყოფელი კაცი, რა თესლისაც გინდ იყოს. იგი დაუცხრომელად ჰღაღადებს თავისს სასახელოდ და ჩაგრულთა საოხად, რომ სიმტკიცე სახელმწიფოსი, რაც გინდ დიდი და ძლიერი იყოს, უნდა ემყარებოდეს ერთ-სულობაზე და არა ერთ-სახობაზე, ერთ-ფერობაზე. ამიტომაც მარტო სიყვარული და ტკბილად მოქცევაა იგი ქვითკირი, იგი დუღაბი, რომლითაც ჰშენდება და მყარდება ციხე-სიმაგრე ერთობისა სახელმწიფოშიო. ყველას, მცირეა, თუ დიდი, თავისუფალი გზა უნდა ჰქონდესო იმ ნიჭით, იმ უნარით, იმ მადლით ემსახუროს სახელმწიფოს, რაც ღმერთს უმოწყალებია როგორც დიდისა, ისეც პატარისათვისაო. არავინ არის ქვეყანაზე იმისთანა, რომ რაიმე კეთილი, სახელმწიფოსათვის გამოსაყენი ნიჭი და უნარი არა სჭირდესო, ოღონდ-კი ნუ შეჰხუთავთ, გზა მიეცით ყველას თავი იჩინოს თავისებურად, თავისის ღირსების და სიკეთისამებრო.

სწორედ ამასვე გვიქადაგებს თვით ბ-ნი გოლმსტრემიცა თავისის წერილის დასაწყისში და ვინ იქნება ისეთი უბირი, ბრიყვი და გულ-წამხდარი, რომ სიყვარულით და სიხარულით ხელი არ მიაშველოს ამის მთქმელსა და თქმული მისი არ ჩაიჭდიოს გულში, ვითარცა აღსავსენი მართლითა და კაცთ-მოყვარებითა.

დიდი ხანიაო, ამბობს ბ-ნი გოლმსტრემი,—ჩვენნი წინ-მხედველნი და შორს გამჭვრეტნი კაცნი ჰკითხულობენ,—ეს ასე შორს რომ მივდივართ აღმოსავლეთ აზიაში, რა მიგვაქვს თანაო. პასუხი ამისი დიდად საიმედო და სანუგეშო არ არისო. ნივთიერ ცხოვრებისათვის, ესე იგი, ის, რაც გარედა კულტურის მანიშნებელია, ჩვენ თვითონაც ბევრი არა გვაქვს-რაო და ამისთანაებში დღესაც ერთმანეთს ვერ მოვრიგებივართო, ერთმანეთში ვერ გავსულ-გამოვსულვართ და ვერა გაგვირჩევია რაო. ხოლო ნამეტანობას სულიერის ღონისას უნდა ვმადლობდეთ, რომ რუსეთის ერი ბევრს განსაცდელს მთლად და უვნებლად გადარჩაო. ესე იყოვო, სხვათა შორის, პეტრე დიდის დროსა, როცა ეს მედგარი გენიოსი არ შეუშინდა ძირითადის ცვლილებით დაუძლურებას ერისას, მისის ეროვნულ ძალ-ღონის დაშრეტასაო. მაშინ რუსეთის ქვეყანა ჯერ ხელუხლებელი ქვეყანა იყოო, ესე იგი, მძინარე ლომიო.

ეხლა სულ სხვააო. დრონი იცვალნენ, სულიერ ძალ-ღონეს ერისას გაფთხილება, დაზოგვა უნდაო. რაც უფრო ფეხ-მაგრობს რუსეთში გონებითად, სულიერად და ხორციელად, იმას უნდა ვმატოთ და ის ვამრავლოთ, იმიტომ რომ,—თუმცა ძნელია გამოვტყდეთ,—მაგრამ იგი ზნეობური ღონენი, რომლითაც ჩვენ გავდივართ შორეულ აღმოსავლეთში, ძალიან დიდი საგზალი არ არისო...

...ისე უმართლოდ და ცილის წამებით არა ერს არ მოჰქცევიან, როგორც სომხებსაო. რომ ჭეშმარიტი ნათელი მოეფინოს სომხების საქმეს, უნდა ძველის-ძველს დროს გავუსწოროთ თვალი, იმ დროს, რომელიც გამოძიებულია სწავლულთაგან, არხეოლოგთაგან, მოგზაურთაგან, რომელთაც ჯერ არ შეჰყრიათ „პოლიტიკური სიბრძნე" და მით არ წაუხ-

*) იხ. „ივერია" № 71.

[1]) იხ. Петер. Вѣд. 1899 წ. № 33.

*** ტფილისის ქალაქის საბჭოს შემდეგი მორიგი კრება მოხდება ორშაბათს, 5 აპრილს.

*** ტფილისის პროვიზორებს აზრადა აქვთ დააარსონ სააქციონერო საზოგადოება. წესდების პროექტი უკვე გაეგზავნა ფინანსთა სამინისტროს დასამტკიცებლად. საზოგადოების ძირის თანხა 100,000 მანეთისაგან შესდგება. თითო აქცია 100 მანეთი ღირს.

*** აზრადა აქვთ პეტრეპავლეს ეკკლესიასთან არსებული წერა-კითხვის სკოლა ერთ-კლასიან სამრევლო-საეკკლესიო სასწავლებლად გადააკეთონ.

*** დღეს, 3 აპრილს, „საარტისტო საზოგადოება"-ში გამართავენ წარმოდგენას, რომლის შემოსავალიც გადადებული იქმნება დედათა 1 და 2 გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ.

*** საგუბერნიო ადმინისტრაციაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ გაუქმებულ იქმნას ქალაქის სასარგებლოდ დაწესებული ის გარდასახადი, რომელსაც სოფლელებს ართმევენ ურმების გაჩერებისათვის ბაზრებში.

*** როგორც „ახ. მიმ."-სა სწერენ, ბათუმში აზრადა აქვთ დაარსონ „სავაჭრო საკრებულო". შუამდგომლობა ამის შესახებ უკვე აღუძრათ.

*** გაზ. „Кас."-ს განჯიდგან სწერენ: უკვე კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ახალგაზრდა ბოქაული ჩიქოვანი მოჰკლეს, მაგრამ მკვლელები—ყარა აზიზ ოღლი და მეშადი-ჯაბარი, ჯერაც ვერ უპოვნიათ. ადგილობრივ მაზრის უფროსი ყაზახებითა და ჩაფრებით დაეძებს მკვლელებს, რომელნიც თითქოს ცამ ჩაყლაპაო, არსადა სჩანან. სოფელი ნაზიაგალი და ახლო-მახლო მდებარე სხვა სოფლები დიდს გაჭირვებაში არიან: ამ სოფლებში ჯარია ჩაყენებული.

*** აზრადა აქვთ ქალაქის გამგეობაში მოსამსახურეთა რიცხვი გაამრავლონ. ჰფიქრობენ დააწესონ, რომ ყველა განყოფილებას თავისი საქმის მწარმოებელი ჰყავდეს, რომელსაც ჯამაგირი 900 მანეთი ექმნება წელიწადში. აგრეთვე აზრადა აქვთ ჯამაგირი მოუმატონ საბჭოს საქმის მწარმოებელს და ქალაქის გამგეს.

*** ხუთშაბათს, 8 აპრილს, კრება ექმნება საბჭოს სასწავლებელთა კომისიას, რომელზედაც ლაპარაკი იქმნება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იდღესასწაულოს ქალაქმა ა. ს. პუშკინის დაბადებიდგან ასის წლის შესრულება 26 მაისს.

*** გუშინ, 2 აპრილს, განსვენებულის ვაჭრამოვის ანდერძის აღმასრულებლად დანიშნულმა მელიქოვმა გადასცა ქალაქის გამგეობას 4000 მანეთი. ეს ფული განსვენებულმა ვაჭრამოვმა შესწირა ქალაქს იმ პირობით, რომ ამ ფულით შემწეობა აღმოეჩინოს ქალაქის სასწავლებლების ღარიბ მოსწავლეებს.

*** ნადეჟდის ბავშვთა თავ-შესაფარის გამგეობამ მიჰმართა გუშინ, 2 აპრილს, ქალაქის თვით-მმართველობას და სთხოვა, რომ იმ წყლის სარგებლობისათვის, რომელიც ქალაქმა ამ 10 წლის წინად ამ თავ-შესაფარში გაიყვანა, გადასახადს ნუ გამოგვართმევთ, რადგანაც თავ-შესაფარს საკმაო ფული არა აქვსო. ეს თხოვნა საბჭოს გარდაეცემა განსახილველად.

*** გუშინ, 2 აპრილს, გასინჯეს რიყეში ის ნავები, ფარნები, თოკები და სხვა მოწყობილება, რომელიც იმ შემთხვევისათვის არის მომზადებული, თუ ვინიცობაა მტკვარი ადიდდა, რათა რიყის მცხოვრებთ შემწეობა აღმოუჩინონ. ყველა ეს მოწყობილება მერვე ნაწილის პოლიციას გარდაეცა.

*** კვირას, 4 აპრილს, ქალაქის მთავარ სამკურნალოს დაარსების დღეს, ამ სამკურნალოში გარდახდილი იქმნება პარაკლისი. ამავე დღეს ქალაქის მკურნალთა და ტეხნიკოსთაგან შემდგარი კომისია დაათვალიერებს ყველა იმ სახლს, სადაც აზრადა აქვთ ეს სამკურნალო გადაიტანონ.

*** ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსმა სთხოვა ტფილისის გუბერნიის გამგეს, განკარგულება მოახდინეთ, რომ ბაკურციხესა და კაჭრეთს შორის გზა-ტკეცილი შეკეთებულ იქმნასო. ეს გზა იმდენად ახლა თურმე გაფუჭებულია, რომ ეტლები ვეღარც-კი დადიანო.

*** ხვალ, 4 აპრილს, ტფილისის ვაჟთა [illegible] გიმნაზიაში გამართული იქმნება წლიური აქტი.

*** რედაქციამ მიიღო მე-3 ნომერი საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილისა". შინაარსი ამ ნომრისა: ჩვენი ციცა ლექსი—შ. მღვიმელისა, მრავალწამებული იობი—ილ. ფ—მისა, ცირცელი ამბავი—თედ. რაზიკაშვილისა; გაზაფხულის მოლოდინი ლექსი—თეოფ. კანდელაკისა; ნელლო და პატრაში (მოთხრობა) თარ.—ელ. წერეთლისა; პატარა მემუსიკენი ფრანგულიდან—ეკ. მ—ისა; მოხუცის სიმღერა (მიბაძვა) ილ. ფ—მისა; ახალი თეზეოსი (შემდეგი)—ეკ. მ—სა; მლოცავი გალია—ილიკოსი; ძველი საბერძნეთი (შემდეგი) თარგმანი—კოტესი; კაპერნიკის ცხოვრება—ვანოსი; ზარმაცი—ამბავი—თან—ენ კან—ინისა; მელია და კაკაბი (არაკი ვაგონილი ჯავახეთში)—ილიკოსი; წვრილმანი: აკროსტიხი, ანდაზები, გამოცანები, ეპიტაფიები, შარადა, რებუსი და სხვა.

*** 1 აპრილს, დილის 11 საათზედ სიონის ტაძრის პირდაპირ მტკვრიდგან ცოცხალი გამოიყვანეს ახალგაზრდა ქალი, რომელიც ნინა ძნელაძისა აღმოჩნდა. მტკვარში გადავარდნილა ბორანიდგან გადასვლის დროს.

*** სუდებნის ქუჩაზედ მდივნის სახლში მცხოვრებმა პოლკოვნიკმა განძიელმა განაცხადა პოლიციაში, რომ 31 მარტს, ღამე ჩემს სადგომში ღია ფანჯრიდგან ვიღაც ქურდი შემოსულა და მოუპარავს 200 მანეთის სხვა და სხვა ნივთებიო.

## ორიოდე სიტყვა მცხეთის სვეტი-ცხოვლის ტაძრის განახლების და გ. მონადირაშვილის კონცერტის გამო.

„და მცხეთა დედა-ქალაქი ვრცელი
დღეს სამიკიტნო დაბად გამხდარა...
ნგრეულან მისნი დიდნი პალატნი,
დიდი ცხოვრება მის დაცემულა,
დღეს იმ ცხოვრების წმიდა ალაგნი
პირუტყვთა ქელვით შეგინებულა!"
ილია ჭავჭავაძე

როდესაც მცხეთის განახლების შესახებ წერილის დაწერას შევუდექით, უნებლიედ გაგვახსენდა საქართველოს ეკკლესიის წმ. მოწამის ევსტათი მცხეთელის ცხოვრებიდგან ერთი გარემოება. წმ. ევსტათი, ტომით სპარსი იყო, გაქრისტიანებული მცხეთაში, სადაც ის დაესახლა, შეირთო ქართველი ქალი და შეუსისხლხორცდა ქართველს ხალხს... მეექვსე საუკუნის გასულს წმ. ევსტათი წამებულ იქმნა სპარსთაგან... მას საქართველოს ეკკლესია უწოდებს „მცხეთელს"... უცხო მხარეში შობილს და აღზრდილს წმ. ევსტათის ძლიერ შეუყვარდა მცხეთა, ეს „სავანე გმირთა", ეს „დიდი აკლდამა გმირთა ცხოვრებისა", ეს აკვანი ქართველთა მართლ-მადიდებლობისა, ეს ქართველის ერის ემბაზი... მას უყვარდა მცხეთა თავ-დავიწყებამდის და მისი ერთად ერთი, მისი უკანასკნელი სურვილი იყო სიკვდილის წინ ის, რომ მისი გვამი მცხეთას დამარხულიყო. „ხოლო ამას გევედრი, უფალო იესო ქრისტე,—ამბობს წმ. ევსტათი თვისს ლოცვაში—„რათა გვამი ჩემი დაემარხოს მცხეთას, სადაცა იგი ნათელი მივიღე და ღირს ვიქმენ სჯულსა ქრისტიანეთასა"... წმ. ევსტათის აღუსრულდა თვისი გულითადი ნატვრა. იმისი გვამი მიიღო თვისს კურთხეულს წიაღში სვეტი-ცხოვლის სახელგანთქმულმა ტაძარმა. უკეთუ უცხოეთიდამ მოსულმა წმ. ევსტათიმ თავდავიწყებამდის შეიყვარა მცხეთა, თავისი სულიერი სამშობლო, ნუ თუ ჩვენ, შვილებს მართლ-მადიდებელ ივერიისას, გულმხურვალედ არ უნდა გვიყვარდეს იგივე მცხეთა, როგორც ჩვენი ხორციელი და სულიერი სამშობლო?!. ნუ თუ მცხეთის სახელის ხსენება თითოეულის ქართველისთვის კეთილშობილურს სიამაყეს არ უნდა შეადგენდეს?! მართლაც, რომ უძვირფასესი ადგილია მცხეთა მთელის ქართველ ხალხისთვის, ის ქართველთა მეორე იერუსალიმია, ის მათი სულიერი და ხორციელი სამშობლოა,—ის მათი მშობელი და აღმზრდელი დედაა... მცხეთასთან შეერთებულია ქართველის ხალხის საუკეთესო მოგონებანი, მისი ძვირფასი გარდმოცემანი, მისის ძლევა-დიდების, მისის სიავ-კარგის გრძელი და უტყუარი მოთხრობა... მცხეთაში ჩადგმულ იქმნა მტკიცე საფუძველი ქართველის ხალხის საუკეთესო სამოქალაქო და სასულიერო ცხოვრებისა... მისს გულის ცემას, მისს ხმას მოწიწებით ყურს უგდებდა ძველად საქართველო; აქედგან მოეფინენ ცხოველ-მყოფელი სხივები სახარების სწავლისა მთელის საქართველოს არე-მარეს. ამ სხივებმა აქედგანვე შეანათეს კავკასიონის თოვლ-ყინულით შემოსილ მთების შუაგულში და იქ გაფანტეს ბნელი უმეცრებისა. აქვე თვისის კურთხეულის ფეხით დაბრძანდებოდა წმ. ნინო, ქართველთა განმანათლებელი. განა დღესაც არ უჩვენებენ იმ მაყვლის ბუჩქის და იმ ხეების ადგილს, რომელთა გვერდით და რომელთა ქვეშ წმ. ნინოს დროს ღვთისა მიმართ მხურვალე ლოცვა-ვედრებაში ატარებდა, და მისი ლოცვის საგანი იყო—ქართველების სულიერი განათლება, ახალს გზას დაყენება, ახალ სჯულის ნათლით გაბრწყინება... აქვე მოდუღდუნე მტკვრის ზვირთებში ნათელ იღეს ქართველთა მეფემ მირიანმა და მთელმა ქართველმა ერმა...

„ჩვენო სამშობლოვ, მშვენიერო, მაშინ შენზედა
მადლი ზეცისა, მადლი ღვთისა ზე გარდმოვიდა...

---

დენიათ თვალთა-ხედვა მეცნიერებისაო. ქვანიც-კი ჰღაღადებენო, ჰბძანებს გაფიცხებული ბ-ნი გოლმსტრემი, ქვანიც-კი, რომელნიც გაფანტულნი არიან არარატის მაღლობებში, ვანის ტბის გარეშემო, ურმიის ახლო, არზრუმთან და ერევნისა და ყარსის ადგილებშიო. ქვანი ხომ არა სტყუიან არასოდესაო!..

მართალია, ქვანი არა სტყუიან, მაგრამ, კიდევ ვიტყვით, კარგს მთქმელს კაი გამგონიც უნდა. ქვევითა ვნახავთ, რომ ქვებს კარგი გამგონი არ შეხვედრიათ.

ცეცხლის ასოებით მოგვითხრობენო, ამბობს იგივ ცეცხლ-მოკიდებული გოლმსტრემი: ზედ-წარწერანი კლდეებისა ამბებს ძველის-ძველს, ასსურ-ბაბილონის დროებისასაო. ჩვენმა ასსირიოლოგ-არქეოლოგმა ბ-ნმა ნიკოლსკიმ, რომელსაც ეს ადგილები დაუვლია 1893 წ., დიდი ამბები აღმოაჩინაო. ლურსმული წარწერანი, იმ ადგილებში ნაპოვნი, რაღაც განსაკუთრებულ ენას ეკუთვნიან და გვაუწყებენო, რომ ტიგრისა და ეფრატის სათავეში, ვანისა, ურმიის და გოგჩის ტბების ახლო-მახლო ერთი რიცხვ-მრავალი ერი ყოფილა. ასსირიის ნაშთთა სიტყვით, რომელნიც ეკუთვნიან მეათე და მეცხრე საუკუნეს ქრისტეს წინად, იმ ერს რქმევიაო „ნაირი". მერე მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში, როცა მთელს ამ ერს ერთი სახელმწიფო შეუდგენია, ქვეყანა ეს ურარტად არის ხსენებული, აქედამ არის წარმომდგარი ებრაული სახელწოდება „არარატიო". ეს ერთი და იგივე სახელიაო.

შუა-გული ამ ურარტთა სახელმწიფოსი ჯერ ერევნის დაბლობებში ყოფილა და მერე მტრის უფრო უკედ მოსაგერებლად სამხრეთისაკენ დაუწევიათ, ვანის ტბის აღმოსავლეთითაო. ურარატთა მეფეების ქვეყანა თუმცა კულტურის მხრით ასსურელთა ზედ-გავლენის ქვეშ ყოფილაო, მაგრამ არა ერთხელ ურარტელნი ძლევა-მოსილობით შესცილებიან ასსურელთა სამსოფლიოდ ხელმწიფობასაო. ასსურელთა მეფის თიგლათ-პილასარის III დროს, მერვე საუკუნის პირველ ნახევარშიო, გამარჯვება ურარტელების მხრივ იყოვო. მთელი ჩრდილო და ნაწილი დასავლეთისა ურარტელებმა წაართვეს ასსურელებსაო. სასწორმა ბრძოლისამ ტოკვა დაიწყო და მოსალოდნელი იყო ურარტელებს დაეპყრათ მთელი მაშინდელი ქვეყნიერება და სამსოფლიო ისტორიისათვის სხვა მიმართულება მიეცათო, ხოლო მერე როცა ასსურეთში სხვა მეფე დამჯდარა, ხელ-ახლად გაძლიერებულან ასსურელნი და მტრები დაუმარცხებიათ. ურარტის მეფეს ურსას მთელი ჩრდილო-დასავლეთი ფეხზე წამოუყენებია და მისევია ასსურელთაო, მაგრამ დამარცხებულანო.

გარდა ყოველ ამისა ბ-ნი ნიკოლსკი მოგვითხრობსო, რომ ზედ-წარწერანი გვეუბნებიან რა კულტურა ჰქონიათ ურარტელებს, რა ქალაქები, სრა სასახლეები, არხები და სხვა ამისთანა. ეს ზედ-წარწერანი ზოგი ასსურელთა მეფეების ბრძანებით არის ნაწერნი, ზოგი ურარტელთა იმისდა მიხედვით ვინ იმარჯვებდა ომშიაო. ეს წარწერანი ძველად-ძველის დროისანი გვაუწყებენო ორის მოძღვრების ბრძოლასაო, ერთი მოძღვრება მხეცურია და მეორე უფრო კაცებურიო. პირველი ეკუთვნით ასსურელთ და მეორე ურარტელთაო. ურარტელებმაო, ამბობს მერე იგივე ავტორი, დიდი სამსახური გაუწიეს მთელს მაშინდელს მსოფლიო ცივილიზაციას და აქედამ მთელს ქვეყანასაო. ჯერ იმითი, რომ ჩრდილოეთიდამ მიწოლილი ურარტი ძალიან აბრკოლებდა ასსურელთ,—მხეცურის მოძღვრების ერს—და საკმაო მოცალეობას არ აძლევდა მისეოდნენ სირიას, პალესტინას და ეგვიპტეს და ერთობ მთელს სამხრეთ-დასავლეთსაო. მეორე დიდი ღვაწლი ქვეყნიერობის წინაშე ურარტისა ის არისო, რომ ერთის მხრით სკვითებს და სხვას ჩრდილოეთის ბარბაროსებს გულ-და-გულ წინ ედგნენ და კავკასიის მთებს აქედ არ უშვებდნენ და ამით სამხრეთ-დასავლეთის ცივილიზაციას არ ათელვინებდნენო და მეორეს მხრით,—გზაში ედგნენ და ფეხს წინ არ ადგმევინებდნენ ეულს ხალხს სამხრეთის მინდვრებისას, საიდამაც გამოვიდა სისხლის მღვრელი რჯული—ისლამიო.

გამოდის, რომ ბ-ნ გოლმსტრემის სიტყვით, ურარტელნი ჯერ კიდევ ძველის-ძველად დაწინაურებული ერი ყოფილა მაშინდელ კვალობაზე, ერი რიცხვ-მრავალი, ძლიერი კაცთ-მოყვარულ მოძღვრებისა, ერი მედგარი, გულ-მტკიცე, გულ-მაგარი და თითქმის თავ-დადებული მოჭირნახულე და მეომარი მთელის მსოფლიოსათვის, მერე იმისთანა მებრძოლნი, რომ კინაღამ მთელს სამსოფლიო ისტორიას სხვა მიმართულება მისცაო. მოდით და თუ ეხლა ამისთანა ღვაწლ-მოსილ ერის ნატამალი სადმეა, გულში ნუ ჩაიკრავთ, ხელს ნუ მიაწვდით, ფეხზე ნუ დააყენებთ და გზას ნუ გაუხსნით ქვეყნისა და კაცობრიობის სადღეგრძელოდ და საბედნიეროდ. მართალია ბ-ნი გოლმსტრემი: დიდი უმადურობა და უსამართლობა იქნება ეხლანდელ კაცობრიობისაგან, რომ ასე არ მიექცეს ურარტის ნატამალ ერსა, თუ დღეს იგი სადმეა. ბატონი გოლმსტრემი გვეფიცება, რომ ურარტის ნატამალი ერი დღესაც არისო, მაგრამ ქვეყანა უსამართლოდ და უმადურად ექცევაო. ცოდვაა ამისთანა ჭირში გაუტეხელი, გონებით, ზნეობით, სულიერად და ხორციელად გულ-მტკიცე და გულ-მაგარი ერი ფეხზე არ წამოვაყენოთ და ჩვენის კულტურის დროშა ხელთ არ მივცეთ მთელის აზიის გასანათებლად და გასაბედნიერებლადაო.

ხომ ასეთი საქებური და სასურველი ერი ყოფილა მოსახლე-მკვიდრი უწინდელ ურარტისა. ეხლა ვიკითხოთ: ვისი ვის და რისთვის იხარჯება ასე უხვად, ვის ამკობს, ვის აქებ-ადიდებს ურარტელების სიკეთისა და ღვაწლის ხსენებითა? სომხებს, რომელნიც ვითომ ურარტელები არიან მოდგმით და იმათი შთამომავალნიო და რადგანაც, ქართულის ანდაზისამებრ, მამა ნახე, დედა ნახე, შვილი ისე გამონახეო, ბ-ნ გოლმსტრემსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას შემდეგ დამკვიდრდა საქართველოში ქრისტეს ეკლესია და დიდი მცნება მაცხოვრისა შეიქმნა ქართველთა საუკუნო ხვედრად, და ამ მცნებისთვის იტანჯებოდა იგი და არ ჰქონდა არც დღე, არც ღამე მოსვენება... ცალის ხელით შემოსეულს მტერს იგერიებდა და მეორე ხელში ეპყრა ჯვარი, რომლის გულისთვის ის მთელს აზიას ეომებოდა... თითოეული მტკაველი მცხეთის მიწისა ქართველთა მოწამებრივ სისხლით არის მორწყული; მისი მიწის შუაგულში განისვენებენ მათი მამა-პაპების წმ. ძვლები... ტყუილად-კი არ უძახის პოეტი მცხეთას „გმირთა სავანეს“, „დიდს აკლდამას გმირთა ცხოვრებისას“!! მცხეთის წმ. თორმეტთა მოციქულთა სვეტიცხოვლის ტაძარი, ეს მრავალ-საუკუნოვანი და ფასდაუდებელი ძეგლი ქართულ ხუროთ-მოძღვრებისა, ენა-მეტყველზედ ძლიერად მოგვითხრობს მრავალ-ტანჯულ ქართველ ხალხის სისხლ-ცრემლით აღსავსე წარსულის შესახებ გულ შემზარავს მოთხრობას და მისს ერთგულებას მართლ-მადიდებლობითი სარწმუნოების მიმართ... მას ბანს აძლევენ სოფლის ამაოებას თითქოს განშორებული, საღმრთო მედიდურობით მცხეთის აღმოსავლით, მთიდგან გადმომცქერალი წმ. ჯვარის ეკლესია,—მეშვიდე საუკუნეში აღშენებული,—იქვე ახლოს მაღალს მთაზედ აღშენებული ღირსი მამის იოანნე ზედაძნელის მონასტერი, თვით ძველი არმაზი, ეს შუაგული ქართველთა კერპებისა და მათის შემუსვრის შემდეგ ქრისტიანობისა,—უუძველესი ტაძარი სამთავროსი, თავისს წიაღში მიმღები მოციქულთა სწორის მირიან მეფის გვამისა, მოდუღუნე მტკვარი და გიჟი არაგვი, ეს განუშორებელი მეგობრები მრავალ ტანჯვა-ნანახი მცხეთისა, ეს მოზარენი მისი ძველის გლოვა-ტირილისა... აქ თითოეული ქვა, ხავსით მოსილი, თითოეული ბორცვი, მწვანით შემკული,—თითოეული უმნიშვნელო ბუჩქიც-კი გვიმოძღვრებს, თუ რა ძვირფასია, რა სანუკვარია, რა წმიდა-წმიდათაა მცხეთა ქართველისთვის, რომელიც თავს უნდა იწონებდეს იმით, რომ ის მართლ-მადიდებელ მცხეთის შვილია, მისს აკვანში, მისივე ტკბილ ნანით გაზრდილია!!

მაგრამ ნახევრადაც არ ესმის ჯერ ქართველს დიდი მნიშვნელობა მცხეთისა—ამ წერილის სათაურში მოყვანილი სიტყვები ბ-ნ ილ. ჭავჭავაძისა სავსებით და ცხადად დაგვისურათხატებს მცხეთის აწინდელს მდგომარეობას. მკითხველი საფუძვლიანად მიხვდება ამ სიტყვებში გამოსკვნილს მწარე სინამდვილეს ამ არა სანატრელ მდგომარეობისას. დღეს ჩვენ თვალთ წინ მართლაც ინგრევა დიდებული ნაშთი ქართულ ხუროთ-მოძღვრებისა, მეხუთმეტე საუკუნეში განახლებული მცხეთის წმ. თორმეტთა მოციქულთა საკათალიკოსო სვეტი ცხოვლის ტაძარი... ვერ შეუძლო მან ბრძოლას დროთა ტრიალის ყოვლად-შემმუსვრელ ძალასთან. ქარი და წვიმა, სეტყვა და მეხი ოთხასს წელზედ მეტია, რაც თავში ძლიერად სცემს, თითქოს სცდილობს მისს შერყევას და მისს შემუსვრას, მაგრამ თვისს ცდას მხოლოდ ნახევრად მიაღწია. აღმოსავლეთის მძვინვარე ბარბაროსები შაჰ-აბაზები, შახიზმაილები, ნადირ შაჰები, ალამაჰმადხანები და სხვანი სვეტი ცხოვლის ტაძარს მორიდებითა და მოკრძალებით ექცეოდნენ, მისის სიდიადითა და მის საღმრთო სიმშვენიერით უნებლიედ იხიბლებოდნენ, მას დასანგრევად ვერ იმეტებდნენ და დღეს-კი, როდესაც ძლევა-მოსილმა რუსეთის მთავრობამ მშვიდობა დაამყარა საქართველოში და შემუსრა ქრისტიანობის ძლიერი მტერი, მცხეთის ტაძარი ჩვენთ თვალთ-წინ ინგრევა; ამდენ ვაივაგლახს გადარჩენილი ძეგლი იმუსრება... ასეთი გულ-გრილობა ამ სიწმიდის მიმართ არ ეპატიება ქართველს ხალხს, რომელსაც შეუძლია, თუ მოისურვა, თუ ნამდვილ მოინდომა ადვილად შეჰკრიბოს ის ორასი ათასი მანეთი, რომელიც ამ დიდებულ ნაშთის განახლებას დასჭირდება... გვრწამს, რომ ჯერ ისე არ დაცემულა ნივთიერად და ზნეობით ქართველობა, რომ ეს საქმე, თუ მოინდომა, ვერ შესძლოს. მცხეთის ტაძრის განახლება დღევანდელ ქართველებისთვის უპირველეს სულიერს საზრუნავ საქმედ უნდა ითვლებოდეს... ამ ტაძარში ასაფლავიან ბევრი ქართველ უკვდავ მოღვაწეთა გვამნი... სირცხვილია, რომ ამ გვამებს წვიმა და თოვლი დასდიოდეს, და ბოლოს მათი საფლავები დაითრგუნონ ტაძრის მაღალის უზომო სიმძიმის ქვეშ, უკეთუ ჩვენის დაუდევრობით და გულ-გრილობით ეს ტაძარი დაინგრევა... ორმოცი ათასი მანათი სვეტი-ცხოვლის ტაძრის განსაახლებლად უკვე შეგროვილ იქმნა; უხვად მოვიდა ამისთვის შეწირულება ერთმორწმუნე რუსეთიდამაც. ნუ თუ თითოეულს, ცოტად თუ ბევრად შეგნებულს ქართველს, არ შეუძლიან ორი ან სამი მანათი გამოიღოს ამ წმიდა საქმისთვის?! რამდენ უბრალო, უმნიშვნელო და მაზარალებელ ხარჯს ვეწევით?!. რამდენს ფულს ვხარჯავთ უსარგებლო დროს გატარებაში, მოძმეებზე საჩივარში, ბანქოს თამაშში, მართვა-მოკაზმვაში, ეტლით სეირნობაში?! ზოგიერთი ჩვენგანი შვიდას, რვაას თუმნობით აბნევს უბრალო რამ სიამოვნება-გართობისათვის და ორის მანათის გამოღება-კი ისეთ საშვილი-შვილო საქმისთვის, როგორიც არის მცხეთის ტაძრის განახლება, ეზარება, არა ჰსურს... ჩვენს ჩამომავლობას რა ნაშთი უნდა დაუტოვოთ ჩვენდა სადიდებლად?!... დანგრეული ტაძრები, რომელთ განახლება ვერ შევძელით, საჩივრის ქაღალდები, უდროვოდ გათხრილი მოძმეთა სამარეები, უმნიშვნელოდ გაფლანგული ქონება, სამუდამოდ დაკარგული, მამა-პაპის მოწამებრივ სისხლით მორწყული ადგილ-მამული, გულ-გრილობა სარწმუნოების და ეკკლესიის მიმართ, და, ვინ მოსთვლის, სხვა რამდენი სიდუხჭირე?!.. სამართლიანად იტყვის მგოსანი ვახტანგ ორბელიანი ქართველების აწინდელ მდგომარეობის შესახებ:

„..... შრომის წილ—ხარმაცობა, სწავლის წილ სმა და ძილი, ძმობის წილ —დავა, მტრობა! ზოგთა თავის ქონება ბითურ ცხრაში წააგეს და თავისი ცოლ-შვილი მშიერ გლახად დააგდეს! ზოგთ დავა—დარაბაში დალუპეს, რაც ებადათ, რაც ქველ მამა-პაპათგან მათ დარჩენოდათ ბედად.

ამისდა მიუხედავად ჩვენ გვჯერა, რომ ქართველ ხალხის გულში კიდევ ჰპეტავს სიყვარული მშობელ და აღმზრდელ ეკკლესიისა და მის სიწმიდეთა მიმართ, მხოლოდ ამ სიყვარულს გამოწვევა, გაფხიზლება, გაღვიძება უნდა...ვინ აღასრულებს ამ მოვალეობას, თუ არა ქართველი შეგნებული მღვდლები, მასწავლებლები და მოხელენი...იმდენად ცხოველია სახელი მცხეთისა ხალხის გულში, რომ მის განსაახლებლად წვლილს არავინ დაიშურებს, მით უმეტეს რომ „სულითა და გულით მოძღვნილი მცირე შეწირულება“-ო, ნათქვამია... მე-15-ე საუკუნეში საქართველოს მეფემ ალექსანდრე პირველმა ხელი მიჰყო სვეტი-ცხოვლის ტაძრის განახლებას, რომელიც თემურ-ლენგისაგან იქმნა დაქცეული. სვეტი-ცხოვლის განახლებაში მხურვალე მონაწილეობა მიიღო მთელმა ქართველმა ხალხმა წოდების განურჩევლად. თითოეული გლეხის ოჯახი იხდიდა ოც-და ოთხის წლის განმავლობაში ყოველ წლივ ამ ტაძრის განსაახლებლად ექვს-ექვს შაურს. დიდი სამსახური გაუწია სვეტი-ცხოვლის ტაძრის განახლების საქმეს მეფე ალექსანდრეს ბებიამ ქუჩნა ამირეჯიბის მეუღლემ. 24 წლის განმავლობაში დასრულდა მცხეთის ტაძრის განახლების საქმე. მას უკან ეს ტაძარი შეურყეველად სდგას აქამომდე. ეხლაც მთელმა ქართველმა ერმა უნდა გამოიღოს წვლილი ამ დიდ-სახელოვან ტაძრას განსაახლებლად; ის გულ-გრილად არ უნდა უცქეროდეს საზარელს სურათს მისის დაძველებისას, შერყევისას და დანგრევისას. ნუ დავივიწყებთ, რომ სარწმუნოება—ბურჯია ხალხის კეთილ-დღეობისა, მისის ზნეობის განვითარებისა, მისის ბედნიერებისა, და იმისი დაცემა რომელსამე ხალხში მოასწავებს ამ ხალხის დაცემას, დასუსტებას, მოსპობას!!... ამ აზრს ბოლოს დროს ცხადად ჰგრძნობენ დასავლეთ ევროპის ზოგიერთი შვილები, რომელნიც სცდილობენ აღდგენას ქრისტიანობისას იმ სახით, რა სახითაც ის გადმოგვცა თვით მაცხოვარმა და მისმა მოციქულებმა... აქ შევეძლო ამის დასამტკიცებელი საბუთები ბლომად მოგვეყვანა, მაგრამ მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს და პირდაპირ ამ წერილის მთავარ საგანსაც არ შეეხება...

კვირას, 4 აპრილს, სწორედ იმ დღეს, როდესაც მართლ-მადიდებლობითი ეკკლესია პატივს ცემს ღირსი მამის იოსებ მგალობლის ხსენებას, ცნობილი ჩვენს საზოგადოებაში ქართულ გალობის მოტრფიალე ბ ნი იოსებ გიორგის ძე მონადირაშვილი გამართავს საღამოს რვა საათზედ ქართულს სასულიერო კონცერტს საქველ-მოქმედო აზრით. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ 60 ქალი და კაცი... შემოსავალი კონცერტიდგან სრულიად დაეთმობა მცხეთის ტაძრის განსაახლებლად დაარსებულს კომიტეტს, რომლის თავმჯდომარედაც ბრძანდება საქართველოს ეგზარხოსი მთავარ-ეპისკოპოსი ფლაბიანე და თავმჯდომარის თანაშემწედ-კი ყოვლად-სამღვდელო ლეონიდი, გორის ეპისკოპოსი. კარგა ხანია ბ ნი მონადირაშვილი, სასულიერო მთავრობის ნება-რთვით, ამზადებს მგალობელთა გუნდს ამ კონცერტისათვის, რომლის დამსწრენი მოისმენენ ქართლ-კახურს გულისა და სულის წარმტაცს და დამატკბობელს საეკკლესიო გალობას; ბ-ნი მონადირაშვილი და მისი მგალობელთა გუნდი გატაცებული იყვნენ თავის შრომის დროს იმ წმიდა სურვილით, რომ რაიმე სამსახური გაეწიათ მცხეთის ტაძრის განახლებისათვის. იმედი გვაქვს, რომ ქართველი საზოგადოება, რომლისთვის უძვირფასეს განძს

---

აულია და ამბობს,—რადგანაც ურარტელნი ასეთი სახელოვანნი ყოფილან, ასეთი ღვაწლ-მოსილნი მთელის კაცობრიობის წინაშე, ასეთი მხნენი, ხასიათ-მაგარნი და მედგარნი, და რადგანაც ეხლანდელი სომხები მათი სისხლ-ხორცია, მათის მოდგმისაა, აშკარა ყოველივე სიკეთე ურარტელებისა მოასწავებს სომხების ღირსებას, კუთვნილებას, ისტორიულად დასაბუთებულსაო. ამ სახით სომხებმა ისტორიულად დაამტკიცეს თვისი სულიერი და ხორციელი გაუტეხლობა, მედგარობა, სიმაგრე ხასიათისა და რადგანაც ესეა, ხელი უნდა შეეწყოს, გზა გაეხსნას ამისთანა სულითა და ხორცით ძალოვან ერსა, რომელმაც ასე სახელოვანად თავი იჩინა ჯერ კიდევ უხსოვარ დროსაო და რომელიც კაცთ-მოყვარეობდა ჯერ მაშინ, როცა სხვანი მგელ-კაცობდნენო.

ვერ წარმოიდგენთ, რა სასაცილო ამბავი გამოდის იმ პიტალო უმეცრებისაგან, რომელსაც ასე სასაცილოდ გაუხურებია და გაუფიცხებია ამ საქმეში უმეცარი ბ-ნი გოლმსტრემი. ბ-ნთ ეზოვებს და მისის ამქრის მეცნიერებს რომ სცოდნოდათ ურარტელების სახელ ქვეშ რომელი ერია ცნობილი ევროპიის სახელგათქმულთა სწავლულთა და მეცნიერთაგან, ხელს მოსჰკიდნენ ბ-ნ გოლმსტრემს და ურარტელებს-კი ასეთის ქებით არ შეამკობინებდნენ.

თურმე ნუ იტყვით, ურარტელნი ქართველები ყოფილან და ბ-ნი გოლმსტრემი აქ იმ გულ-უბრყვილო დათვის მაგიერობასა ჰთამაშობს, რომელმაც აქაო-და შუბლზე ბუზი აზის და აწუხებს ჩემს მეგობარსაო, აიღო და შუბლში უშველებელი ლოდი დააზილა ბუზის ასაფრენად. სწორედ ასეთი ამბავი დაჰმართა ბ-ნმა გოლმსტრემმა იმ ერთ გვარ სომეხთა გუნდსა, რომელთა მრწამსიც სხვის მიერ გამომცხვარის პურის დაჩემებაა, რაკი გემრიელია, თითქო თავისი არა აბადიათ-რაო. ესეთი მეხი არავის დაუცია ამ გუნდისათვის თავში, თუმცა-კი მარტო სომხის გაბერა უნდოდა ქებით და დიდებითა. ტყუილად დაიხარჯა ძვირფასი ტყვია-წამალი. ბ-ნმა გოლმსტრემმა გულში ტყვია ჰკრა სომეხთა გუნდსა, თუმცა მარტო ვარდის კონის სროლა-კი უნდოდა. ძნელია უვიცობა, ანუ განგებ შეკეთებული, განგებ გაფიცხებული, განგებ ყალბზე შემდგარი ხელთ-ქმნილი და არა გულთ-ქმნილი თავ-გამოდება.

დიახ, ბატონებო, ურარტელნი ქართველთა წინაპარნი ყოფილან, ქართველთა სისხლ-ხორცი ერი ყოფილა სამწუხაროდ, თუ ბ-ნ გოლმსტრემისა არა, იმ სომეხთა გუნდისა, რომელიც საცა-კი სხვის კარგს რასმეს დაინახავს, მსუნაგსავით მაშინვე ხელს სტაცებს, ჩემიაო, თითქო თავისი საკუთარი სიკეთე და ღირსება არ გააჩნია, თითქო თუ სხვისა არ ჩაიცვა, არ დაიხურა, თვითონ ტიტველ-შიშველიაო. მართლადა, არც ესეთნი არიან სომხები, რომ თავისი არა ჰქონდეთ-რა თავ-მოსაწონებელი.

ჩვენ უსაბუთოდ არ ვამბობთ ურარტელების ქართველობას. ამის დასამტკიცებლად სწორედ იმ ქვებს აველაპარაკებთ, რომელთ ღაღადებას ასეთი გოდება და ცრემლთა ღვრა მოართვევინა სომხებისათვის ბ-ნს გოლმსტრემსა და ვითომ საშინელის გულმტკივნეულობით დაძახა: „И Камни вопіютъ! Камни не лгутъ“!.

ჩვენ თავისს ადგილას დავუმტკიცებთ ბ-ნ გოლმსტრემს, რომ არამც თუ მკვდრებს ქვებს, ცოცხალ კაცსაც-კი უბედავს და მისის პატიოსანის სახელით მართალს არ გველაპარაკება. ასე შეჰქცია მან ბ-ნი ნიკოლსკი, რომელიც იქნება სხვას ყველაფერს ამბობდეს, ხოლო იმასკი არა, რასაც იმისის სახელით ბ-ნი გოლმსტრემი გვეუბნება, რასაც მის მაგიერად გვეფიცება და რაც სიზმარში მარტო სომეხთა მეცნიერთ დღემუდამ ელანდებათ.

გვიკვირს, რომ ამ პატივცემულ რუსთა ასსირიოლოგ-არქეოლოგს ასე უკადრისად მოეპყრო რუსისავე მწერალი და მისი ფრთხილი, ჭკუადამჯდარი საზრისი ამ საგანზე განგებ, თუ უვიცობით გადაასხვაფერა, გადააკეთა, რომ მისის პატივცემულ სახელით ტყუილი მართალად გაუსაღოს ერთ გვარ სომეხთა გუნდსა.

აშკარაა, ბ-ნი გოლმსტრემი აქ რაღაც უცნაურ მახეში გაბმულა, ტყუილებით გატენილი გუდა ზურგთ აუკიდნიათ და თვით პატივცემული „Петербургскія Вѣдомости“ შეუცდენიათ და თავიანთ სიყალბის მონაწილედ გაუხდიათ. წინადაცა ვთქვით,—ეს გაზეთი თავისდა სასახელოდ ჩაგრულთა მოსარჩლეა, მისი გონება ერთმანეთის შეუწყნარებლობის ვიწრო ფარგალში არ ჰტრიალებს, იგი ყველას, დიდია, თუ პატარა, თავისას აკუთვნებს და ამისთანა მართლა კაცთ-მოყვარული, მართლა ჰუმანური ღვაწლი მისი ვალად სდებს ყოველს რიგიანს კაცი იმისთანა რამ არ მიაწოდოს დასაბეჭდად, რაც ტყუილია, რაც მოტყუებაა... იმას აღარ ვიტყვით, რომ ერთობ მწერლობა იმისთანა საქმეა, საცა ტყუილსა და ჭორს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. კიდევ მეტს ვიტყვით: იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია. „ვისაც ყურნი ესხნენ სმენად, ისმინონ“!

ჩვენ ძალიანა ვწუხვართ, რომ ეს პატიოსანი გაზეთიც არ დაუნდვიათ, მოუტყუებიათ იმ ჭკვიანურ ანგარიშით, რომ თუ ეშმაკობა გაგვივიდა, ხომ რა კარგი, თუ არა და, თავშიც ქვა უხლია გაზეთს, თუ ტყუილში დაიჭერენო. არც ბ-ნ გოლმსტრემისათვის აიტკიებენ ძალიან თავსა. იმათ რა ენაღვლებათ, ოღონდ სხვისის ხელით ნარი ჰგლიჯონ, თუ შესაძლოა. მაშ რის სომეხთა მეცნიერნი-ღა იქნებიან, რომ სხვა დაჰზოგონ, სხვის სახელს გაუფრთხილდნენ? ეს დავთარში იმათ არ უწერიათ.

ილია ჭავჭავაძე

(შემდეგი იქნება)

უნდა შეადგენდეს მცხეთა და სვეტიცხოველი, დაესწრება ამ კონცერტს და მით ხელს შეუწყობს ხსენებულ ტაძრის განახლების საქმეს.

ფარი

## უცხოეთი

**ოსმალეთი.** კონსტანტინეპოლიდგან გაქცეულა სამხედრო-გარეთ ხონთქრის ორი ფლიგელ-ადიუტანტი, მაიორი ხუზნი და ახმედ-ბეგი. ამ უკანასკნელს წინაზედ გალის თანამდებობა სჭერია ტრიპოლში. ცხადია, ეს გადავარდნილნი წევრები არიან ოსმალეთის ახალ პოლიტიკურის დასისა, რომელიც, როგორც სჩანს, ოსმალეთის წეს-წყობილების წინააღმდეგ ხელ-ახლა აპირებს გამოლაშქრებას. ამ ჟამად დასი იჩენს დიდს ენერგიას იჩენს რიგიანობისა და სამართლიანობის დასამყარებლად ოსმალეთში. ხსენებული დასის კომიტეტი თავისის მოძღვრების გასავრცელებლად ჟენევაში ჰბეჭდავს „ოსმანლი“-ს, ოსმალურს ენაზე, „მეხვერეტ“-ს — ოსმალურსა და ფრანგულს ენაზე და „კანუნი-ესსასი“-ს (ქაირში) — ოსმალურსა და არაბულს ენებზედ. ჟენევაში ქურთულს ენაზედაც გამოდის გაზეთი, რომელიც წინააღმდეგია ხონთქრის აბდულ-ჰამიდისა. ამ გაზეთს ეწოდება „ქურთისტანი“, რომლის პატრონი აბდურახმან ბეგი არის, ქურთისტანის ცნობილ თავადის ბედრხანფაშის შვილი. გარდა ამისა გერმანულს ენაზედ ამ მოკლე ხანში გამოსულა ერთი წიგნაკი, რომელსაც ეწოდება „პატარა სია აბდულ-ჰამიდ II ცოდვებისა“ და რომელშიაც აღწერილია მიდხად-ფაშის წვალება. ამ წიგნაკის ავტორი არის მუსტაფა რეფიკ-ბეგი. ეს მუსტაფა ოსმალეთის საელჩოს მდივნად იყო ბერლინში დიდხანს, სწავლობდა ბერლინშივე და თექვსმეტი წელიწადი იცხოვრა გერმანიის სატახტო ქალაქში. იგი ხელოვნურად უხასიათებს თავისის ხონთქრის ზნე-ჩვეულებას გერმანელებს და დახმარებას სთხოვს მათ.

ახალ მოძღვრების დასის პრაპაგანდამ ოსმალეთის წეს-წყობილების წინააღმდეგ იმდენად მიიქცია ამ ჟამად დასავლეთ ევროპის ყურადღება, რომ ოსმალეთის მთავრობა იძულებული შეიქმნა ჟენევასა და ლონდონში გაეგზავნა არტინ-ბეგი, რომელსაც დავალებული აქვს, ჩვეულებრივად იმოქმედოს ოქროთი, დაპირებით და მუქარით, რათა როგორმე ხმა ჩააკმენდინოს ახალ მოძღვრების მქადაგებელთ.

—

**ბელგია.** 1897 წლის მარიამობისთვეში კაპიტან ჟერლაკის უფროსობით ანტვერპენიდგან ექსპედიცია გაემგზავრა სამხრეთ პოლიუსისაკენ. ამ ექსპედიციის შესახებ არავითარი ხმა არ ისმოდა დიდი ხნის განმავლობაში, ასე რომ 1898 წელს იგი ყველას დაღუპულად მიაჩნდა გარდა კონცხის მახლობლად. ეხლახან-კი ბრიუსელში ამბავი მოვიდა, რომ ექსპედიცია მშვიდობიანად მივიდა მონტევიდეოში. ჰფიქრობენ, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში ის გაყინული უნდა ყოფილიყოს ალექსანდრე I მიწის მახლობლად, და, განთავისუფლდა რა, მონტევიდეოში წავიდა დაზიანებულ გემების შესაკეთებლად. ერთი გაზეთის სიტყვით, ეს ექსპედიცია ხელ-ახლა აღარ წავა სამხრეთ პოლიუსისაკენ.

—

**მაკედონია.** ორი წელიწადი მეტია, რაც ბოლგარებს და სერბებს დავა ჰქონდათ ერთმანეთ შორის, თუ ვის უნდა ეკუთვნოდეს კუმანოვის ეკკლესია. როგორც იუწყებიან, ეს სადავო საგანი აი ასე გარდაუწყვეტია კოსოვის გალის: ხსენებული ეკკლესია უნდა, ჩამოერთვას საკუთრებად ბოლგარებს, ხოლო სერბები ამის სასყიდლად მიიღებენ ფულს და საეკკლესიო მორთულობის ნახევარს; გარდა ამისა სერბებს მიეცემათ მიწა საკუთარ ეკკლესიის ასაშენებლად.

ამ დადგენილებით ბოლო მოეღო ასე დიდხანს გაჭიანურებულ დავას, მაგრამ ზოგნი ასე ჰფიქრობენ, რომ სამართალი თხოულობდა, ბოლგარებისათვის მიეცათ ფული და სერბებისათვის ეკკლესია დაენარჩუნებინათ, რადგან ამ ეკკლესიასთან ისტორიული ცხოვრება აკავშირებს მათ.

## დარიგება

ავსა კაცსა, ჩვენცა ვიცით,
ავი არსით ასცილდების;
რასაცა იქს სირეგვნითა,
მისსავ თავსა გარდაჰხდების.

როსტომ გმირი

* * *

ხატი ჰქონდა კაცისა, სული ტარტაროზისა.

ლასურიძე

* * *

აღაშენეთ გუამნი თქვენნი კლდესა ზედა სიმტკიცისათა და არა ცუდსა დაფლატულსა მიწასა, პოიკაზმენით სიმშვიდით და შეიმკვენით სიმდაბლით.

სულხან საბა

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთ რუსს ფ. ვ. იევლევს გამოუგონია ახალი ასაფეთქებელი ნივთიერება, რომელიც გაცილებით უფრო ადვილი შესანახი, გადასატანი და იაფია, ვიდრე დინამიტი. ამ ასაფეთქებელს ნივთიერებას გამომგონმა სახელად „პრომეტეი“ დაარქვა. „პრომეტეი“ წყლისაგან არა ფუჭდება და წყალშიც ისევე შეიძლება იმის აფეთქება, როგორც მშრალ ადგილას. როგორც ვუწყით, დინამიტს უმთავრესად კლდეების დასანგრევად, გზების გასაყვანად ხმარობენ, „პრომეტეი“ 1898 წლის სექტემბერს უცდიათ და აღმოუჩენიათ, რომ იმის შემწეობით უფრო ადვილია კლდეების დანგრევა, ვიდრე დინამიტისა.

* * *

ამერიკაში ჯერ კიდევ დიდი გასავალი აქვს ესრედ წოდებულ „ლინჩის კანონს“. მკითხველებს ეცოდინებათ უთუოდ, რა არის ეს „ლინჩის კანონი“. ამა თუ იმ დამნაშავეს ბრბო თვით ასამართლებს, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, პირდაპირ, განუსამართლებლად წუთი სოფელს ასალმებს. აი სწორედ ამ გვარ დასჯას უწოდებენ „ლინჩის კანონს“. თუმცა შეერთებულის შტატების მთავრობა კარგა ხანია სცდილობს ამ საზიზღარ ჩვეულების მოსპობას, მაგრამ ხალხი მაინც თავისას არ იშლის და ისე წელიწადი არ გავა, რომ რამდენიმე კაცი არ იმსხვერპლოს ამ „კანონმა“. რასაკვირველია, მსხვერპლთა უმრავლესობას დაბალი ღობე შეადგენს, ე. ი. ზანგები ან ინდიელები. როგორც ამერიკაში მყოფ რუსეთის ელჩის მოხსენებიდგანა სჩანს, ამ უკანასკნელ $1^1/_2$ წლის განმავლობაში ამ რიგად 27 კაცი დაუსჯია ბრბოს. 27 კაცში ერთის გარდა ყველანი ზანგები ყოფილან.

შეერთებულ შტატების ქალაქ კონკორდში მოკლულ იქმნა ახალგაზდა ქალი ემმა ხარტსელი. მოკლულის ნათესავებმა და იმათმა მეგობრებმა ეჭვი მიიტანეს ორ ზანგზედ — ჯოე კიზერიასა და ტომ ჯონსონზედ, ადგილობრივმა შერიფმა ორივე ბრალდებული დააპატიმრა, მაგრამ რადგან ხალხი ძალიან იყო აღელვებული, ზანგები რკინის გალიაში ჩასვა და მცველები მიუჩინა. ამისდა მიუხედავად, ღამე საპყრობილესთან რამდენმამე ასმა კაცმა მოიყარა თავი, გამოამტვრია კარები, გამოიყვანა ბრალდებულნი და ერთ მიყრუებულ ადგილში წაიყვანა. იქ ბრბომ ორივე ზანგი ერთს ხეზედ ჩამოარჩო.

ერთმა 18 წლის ზანგმა მერილანდში რევოლვერით სასიკვდილოდ დასჭრა თვისისავე ხნის ახალგაზდა კაცი არა ზანგი. მკვლელი დააპატიმრეს. ღამის ორ საათზედ მოკლულის ნათესავებმა და მეზობლებმა შერიფის სახლის წინ მოიყარეს თავი, გამოიხმეს იგი და მოსთხოვეს, გადმოგვეცით ზანგი, ჩვენ თითონ განვასამართლებთო. როდესაც შერიფმა უარი გამოუცხადა, ბრბომ გამოამტვრია საპყრობილეს კარები და ზანგი ქუჩაში გამოათრია. ახალგაზდა ზანგი გულსაკლავად სტიროდა და ეხვეწებოდა ბრბოს, შემიბრალეთ, ნუ მომკლავთო, მაგრამ იმისმა მუდარამ და ცრემლებმა არავის სიბრალული არ აღუძრა: ხელად თოკი გადააცვეს კისერზედ და იქვე ბოძზედ ჩამოჰკიდეს. რამდენისამე წამის შემდეგ თოკი გაწყდა და ზანგი მიწაზედ დაეცა; საწყალმა გაქცევა დააპირა, მაგრამ ბრბომ აღარ დააცალა: ასზედ მეტი რევოლვერი გავარდა და ტყვიებისაგან დაცხავებული გვამი ზანგისა მიწაზედ გაინართხა.

ქალაქ ღოილეინში ზანგმა სტრიტმა განიზრახა ერთის ქალის მოკვლა. რა წამსაც ეს ამბავი ქალაქში გავრცელდა, ათას კაცზედ მეტმა მოიყარა თავი ქალაქის ერთს ქუჩაზედ; იქ დიდი ბოძი აღმართეს და გარეშემო ამ ბოძს შეშა შემოუწყეს. მიიყვანეს ხელ-ფეხ შეკრული სტრიტი და ამ ბოძზედ მიაკრეს. სტრიტს ხმა არ ამოუღია, როდესაც შეშას ცეცხლი წაუკიდეს; არც მაშინ უთქვამს რამ, როდესაც აპრიალებულმა ალმა იმის ფეხებამდე და ტანისამოსამდე მიაღწია. ათის წუთის შემდეგ ცეცხლი ჩაქრა და ნაცარში მხოლოდ სტრიტის ძვლები-ღა ეყარა.

კანზასის შტატში, ერთ ფერმაში მომუშავეს, 50 წლის დ. ბეკკერს, შეუყვარდა ფერმის პატრონის თექვსმეტის წლის ქალი და მოიწადინა იმის ცოლად შერთვა. ხოლო, როდესაც უარი მიიღო, გაბრაზებულმა და გონება დაბნეულმა მოჰკლა. რამდენისამე ხნის შემდეგ ბრბომ დაიჭირა ბეკკერი, ჯერ ჯოხებითა სცემა და მერე ხეზედ ჩამოჰკიდა. ბეკკერი ზანგი არ იყო. იმ 27 კაცთაგან ეს არის მხოლოდ არა ზანგი, დასჯილი „ლინჩის კანონით“.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 აპრილი

**პეტერბურგი.** 1 აპრილს ნიკოლოზის სახელობაზედ დაარსებული მთავარი ობსერვატორია დღესასწაულობდა თავისის 50 წლის დაარსების დღეს. ობსერვატორიაში გარდახდილ იქმნა მცირე პარაკლისი. დაესწრო უავგუსტოესი პრეზიდენტი სამეცნიერო აკადემიისა დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე. ნაშუადღევის 2 საათზე სამეცნიერო აკადემიის დიდს კონფერენცდარბაზში სადღესასწაულო კრება გაიმართა, რომელსაც ვიცე-პრეზიდენტმა აკადემიკოსმა მაიკოვმა წაუკითხა უმაღლესი ბრძანება იმის შესახებ, რომ ობსერვატორიას ნიკოლოზის სახელი დაერქვას და მისს კორესპონდენტებს ნება მიეცეთ ატარონ, იუბილეის გამო, უმაღლესად დამტკიცებული ნიშნები.

**პარიჟი.** „Figaro“ ჰბეჭდავს გენერალ გონზის ჩვენების დასასრულს, შემდეგ — გენერლებ სებერისა და ბრიუიერისა, მოკასი და დიუკროს ჩვენებას. გონზმა უჩვენა შეცდომები ბერტულიუსის ჩვენებაში; ბრიუიერს არ უნახავს ესტერგაზი შალონში 1894 წელს; სებერმა, მოკმა და დიუკრომ დრეიფუსის სასარგებლოდ აჩვენეს.

„Eclair“-ში დაბეჭდილია ტრარიეს ჩვენება, რომელმაც ილაპარაკა, რომ 1898 წელს, ჩემთან საუბრობის დროს, იტალიის ელჩმა ტორნიელიმ განაცხადა, რომ ბორდეროსა და იმ საბუთების გამოქვეყნებამ, რომლებშიაც ნათქვამია — „ეს არამზადა დ.“ — უჩვენეს იტალიისა და გერმანიის სამხედრო წარმომადგენლებს, რომ დრეიფუსი შეცდომილების მსხვერპლი შეიქმნაო. ბორდეროში ჩამოთვლილი საბუთის ქაღალდები მართლაც გარდაცემული ჰქონდა გერმანიის ატაშეს, მაგრამ დრეიფუსის მიერ-კი არა, არამედ სხვა და-სხვა აფიცრისაგანო. შვარცკოპენი სწერდა პანიცარდის, დრეიფუსს არ ვიცნობო. ბორდეროს აწერდა ის ესტერგაზს. ტორნიელიმ ილაპარაკა, რომ 1897 წლის ოქტომბერში ესტერგაზი მფარველობას სთხოვდა შვარცკოპენსო, როცა შვარცკოპენმა უარი უთხრა, ის დაემუქრა, თავს მოვიკლავო. მეორეთ ლაპარაკის დროს ტორნიელიმ სთქვა, რომ სიტყვები „ეს არამზადა დ.“ სხვა, არა სამხედრო, კაცის შესახებ იყო ნათქვამი, რომელმაც გერმანიის ატაშეს მიუტანა რუქები და ტოპოგრაფიული გეგმები, რომელთა შოვნა უამისოდ ძნელი იყოვო. ეს კაცი ცნობილი იყო უცხო ქვეყნელ ატაშეთა შორისო.

**ბერლინი.** ზოგიერთმა გაზეთებმა ხმა გაავრცელეს, რომ მომავალს ზაფხულში იმპერატორი ვილჰელმი მონაკოსა და ეგვიპტეს აპირებს წასვლასო. ეს ცნობები მოგონილია.

2 აპრილი.

**პეტერბურგი.** „პრავიტელსტვენნი ვესტნიკში“ დაწვრილებით არის გამოცხადებული მიზეზები და მიმდინარეობა სტუდენტების უწესოებისა, ამასთანავე ნათქვამია, რომ მოძრაობა გავრცელდა სახელმწიფოს უმთავრეს მაღალ სასწავლებლებშიო. ყოველგან ორი დასია: ზომიერი, რომელიც მშვიდობიანობის აღდგენის მომხრეა, და უკიდურესი, რომელიც უწესოების გაგრძელებას თხოულობს იმ აზრით, რომ უნივერსიტეტის მთავრობა შეაშინოს და დაათმობინოს რამ. პეტერბურგში ამ მოძრაობის ხელმძღვანელი კომიტეტი, რომელმაც პროკლამაციები დაჰბეჭდა. მოძრაობის მოთავენი დატუსაღებულნი არიან და ამასთანავე წალებულია აღკრძალული გამოცემანი. მაღალ სასწავლებლების მოსწავლეთა მოძრაობის მოთავენი ერთი მეორეს ყველაფერს ატყობინებენ და უმრავლესობას ძალას ატანენ, რომელსაც წესიერების აღდგენა სურს. უწესოება მოხდა პეტერბურგისა, მოსკოვისა, კიევისა, ოდესისა, ხარკოვისა, იურიევისა, ვარშავისა და ტომსკის უნივერსიტეტებში, პეტერბურგის ტეხნოლოგიურ, სამთო და სატყეო ინსტიტუტებში და ახალ ალექსანდრიის სამიწად-მოქმედო სასწავლებლებში. აგიტატორები თხოულობენ, რომ მიტევებულ და ხელ ახლა მიღებულ იქმნან ყველა მათი დამნაშავე ამხანაგები, და უნივერსიტეტის ინსპექცია შეიცვალოს. პეტერბურგის კომიტეტმა გამოსცა თავხედური პროკლამაცია, რომელიც აჩვენებს, რომ მოძრაობას მთავრობის წინააღმდეგი ხასიათი აქვს და რომელსაც აზრად აქვს ბრძოლა პოლიტიკურ ცვლილებათა მისაღწევად. ამ პროკლამაციამ სტუდენტების უმრავლესობის მხრივ კიცხვა გამოიწვია, რის გამოც ეს პროკლამაცია არ გავრცელებულა. „პრავიტელსტვენნი ვესტნიკის“ მიერ ნაუწყები შემდეგის სიტყვებით თავდება: „იმისდა მიუხედავათ, რომ უწესოებაში მსმენელთა უმცირესობა იღებდა მონაწილეობას, საჭირო შეიქმნა მრავალ მაღალ სასწავლებლის კარგა ბევრი სტუდენტები გამოერაცხათ, რომელთა ჯიუტობა უწესოების გაგრძელების შესახებ შესაძლოა არა ხდიდა ისინი დარჩენილიყვნენ კიდევ მოსწავლე ახალგაზდობაში. ეს ღონისძიება კვლავაც იქმნება ხმარებული, რადგან, მოსწავლეთა მოთხოვნილებით, შეუძლებელია სასწავლებლებში მიღებული წესი და რიგი შეიცვალოს. ამ ღონისძიების ხმარება საშუალებას არ უსპობს ხელახლა იქმნან მიღებულნი და განათლება დაამთავრონ ბევრს დათხოვნილს, რომელნიც გამოფხიზლდებიან იმ შეცთომილებისაგან, რომელშიაც ჩავარდნენ ჭაბუკურის გამოუცდელობისა და უცოდინარობის გამო. რაც შეეხება იმათ, რომელნიც სცდილობენ გაიტაცონ ახალგაზდობა უკანონო გზაზედ, რომელნიც მთავრობის წინააღმდეგ მოქმედებენ, რაგვარ საქციელსაც არავითარი კავშირი არ აქვს სასწავლებლების დანიშნულებასთან, იმათ წინააღმდეგ მიღებული იქმნება კანონით გაწესებული სასჯელი.

**ლონდონი.** როგორც ჰფიქრობენ, უკანასკნელი შემთხვევანი სამოას კუნძულებზედ კიდევ უფრო გააძნელებენ ისედაც გაძნელებულს საქმესო. ყველასათვის ცხადია, რომ გერმანიის კონსულის, როზეს, აჩქარებულმა აგრესიულმა მოქმედებამ ხელი შეუწყო უწესოების განახლებას. რა მოხდება შემდეგში, ჯერ ვერავინ იტყვის, მაგრამ საჭიროდ მიაჩნიათ, რათა სამოას საქმებისათვის დანიშნული კამისია შეუდგეს მუშაობას მშვიდობიანობის აღსადგენად.

## განცხადებანი

### წყალ-წმიდის ძმობისაგან.

წყალ-წმიდის სამრევლო-სამეურნეო სკოლაში ასწავლიან საეკკლესიო გალობას ნოტებით, ბ. ს. ლოსაბერიძის ლოტბარობით. მსურველთ შეუძლიანთ (კერძო კაცებს) ისწავლონ უსასყიდლოდ. რაც შეეხება ხარჯსა და ბინას, სკოლის მმართველი მისცემს, შეძლებისა დაგვარად, შეღავათით ბინასა და ხარჯს, თუ ცოტას იმუშავებს, ან ფულად.

Дозволено цензурою, Тифлисъ 2-го апрѣля 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.